# სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი

**ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები:**

**მკითხველი ვალდებულია:**

ა)გაუფრთხილდეს მასზე გაცემულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს, არ გააკეთოს მასში ჩანიშვნები, არ ამოხიოს ფურცლები და ა.შ

ბ)არ გაიტანოს ბიბლიოთეკიდან ისეთი საბიბლიოთეკო დოკუმენტი, რომელიც არ არის ჩაწერილი მკითხველისფორმულარში, ან არექვემდებარება სახლში გაცემას;

გ) წიგნის და სხვა სახის მასალის მიღების შემთხვევაში დაათვალიეროს მისი ფიზიკური მდგომარეობა და დეფექტის აღმოჩენისას აცნობოს ბიბლიოთეკარს;

დ)საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში აანაზღაუროს ბიბლიოთეკისათვი სმიყენებული ზარალი, წიგნის ღირებულების სამმაგი საფასური;

ე) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკას დაუბრუნოს მასზე გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტები;

ვ)სამკითხველო დარბაზში მუშაობისა ს მკითხველებთან და ბიბლიოთეკარებთან დაიცვას სიწყნარე და ურთიერთობის ეთიკური ნორმები;

**კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები**

1. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლია, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს;

2. კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულია:

* ტექსტის შეყვანა და რედაქტირება;

* ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;

* ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;

* ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;

* სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიაში ქცევის წესები:**

1. ლაბორატორიაში მარტო, მასწავლებლის გარეშე შესვლა არ შეიძლება.

2. ლაბორატორიული ჭურჭლის ან მოწყობილობის მასწავლებლის ნებართვის გარეშე გადაადგილება დაუშვებელია.

3. ლაბორატორიაში კვება, წყლის დალევა, სირბილი, ხტუნვა და ა.შ. დაუშვებელია.

4. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა.

5. დაუშვებელია უცნობი ნივთიერების გემოს გასინჯვა.

6. სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი სხეულების (მაგ.ქაღალდი), დადება არ შეიძლება.

7. სპირტქურის გამოყენებისას მასთან ძალიან ახლოს მისვლა არ შეიძლება.

8. ცდის ჩატარებისას საჭიროა დამცავი სათვალის გამოყენება.

9. ცდის ჩატარებისას, თუ რომელიმე ნივთიერება შემთხვევით კანზე მოგხვდა, სასწრაფოდ მოიბანე საპნიანი წყლით და ეს ამბავი მასწავლებელს აცნობე.

10. ცდის მსვლელობისას გაცხელებული ჭურჭლის შენახვა მის გაცივებამდე, არ შეიძლება.

**სპორტული ინფრასტრუქტურა**

1. სკოლის დახურული და ღია სპორტული მოედანით სარგებლობის უფლება აქვთ სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

2. სპორტულ ინფრასტურუქტურაზე ზედამხედველობას ახორციელებს სპორტის მასწავლებელი, რომლის ნებართვით და ზედამხედველობით მოსწავლეები სარგებლობენ სპორტული ინვენტარით;